ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 33-142

“29” დეკემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის № 3-5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ცვლილება იქნას შეტანილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-5 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge 22/07/2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016005) და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის დებულების მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. კომისია ხელს უწყობს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გენდერული თანასწორობის განხორციელებას, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საკრებულოს რეგლამენტით, ამ დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი